# შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან"

19 მაისი 2023 წ.

№ 01/05

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან" ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენში, ფლობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ: 43.32.47.555), სადაც გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის ბაღი. აღნიშნულ ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე, 2022 წლის 16 ნოემბრის №467/ს ბრძანებით, გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება, რის შედეგადაც საქმიანობა არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის გავლას.

ამავე ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდის უზრუნველსაყოფად კომპანიას დაგეგმილი აქვს ღრმა ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარების დამონტაჟება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-10 პუნქტის, 10.6-ე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომზადებული სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია, Shp ფაილები

პატივისცემით,

რატი ჩაკვეტაძე
დირექტორი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„24" 05 2023
№ 4657

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #47
ს/კ 405472778